



შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

ბიბლიოთეკა მუშაობს: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10.00 სთ-დან 18.00 საათამდე. შესვენება 14.30-საათიდან - 15.00 საათამდე.

პროფესიული სტუდენტი/მსმენელი და პერსონალი (შემდგომში-მკითხველი) უფლებამოსილია ისარგებლოს კოლეჯის საბიბლიოთეკო რესურსით, საბიბლიოთეკო სერვისით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საინფორმაციო საშუალებებით.

პროფესიული სტუდენტები/მსმენელები და პერსონალი, კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის უნდა გაწევრიანდნენ ბიბლიოთეკაში, რაც დასტურდება მის სახელზე გახსნილი მკითხველის ბარათით.

ბიბლიოთეკაში გაწევრიანებისათვის სავალდებულოა პირმა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

მკითხველის ბარათში ასახულ ინფორმაციას ხელმოწერით ადასტურებს მკითხველი.

მკითხველის უფლება-მოვალეობები

მკითხველს აქვს უფლება:

1. მიიღოს სრული ინფორმაცია ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ;
2. ისარგებლოს ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსით;
3. ისარგებლოს ბიბლიოთეკის საძიებო საშუალებებით;
4. მოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტის ასლის გადაღება;
5. ისარგებლოს ბიბლიოთეკაში არსებული პრინტერთა და სკანერთ;
6. ისარგებლოს ინტერნეტში ჩართული, გამართული კომპიუტერული ტექნიკით;
7. ადგილზე წაიკითხოს სახელმძღვანელო, გააკეთოს ცალკეული გვერდების ქსეროასლები ან ამობეჭდოს მისთვის სასურველი მასალა;
8. მოითხოვოს ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსის ჩაწერა CD დისკზე ან ინფორმაციის სხვა ელექტრონულ მატარებელზე;
9. ისარგებლოს კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული ბიბლიოთეკით, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირებისათვის;
10. გამოთქვას და გამოხატოს თავისი აზრი, შეხედულება, ინტერესები, სურვილები ბიბლიოთეკის საქმიანობის და ხარისხის შესახებ.

მკითხველი ვალდებულია:

1. გაეცნოს და დაიცვას ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

2. გაუფრთხილდეს საბიბლიოთეკო ინვენტარს (მათ შორის ელექტრონულს) და საბიბლიოთეკო ფონდს;
3. დაუყოვნებლივ აცნობოს ბიბლიოთეკარს, მისთვის გაცემულ საბიბლიოთეკო ერთეულზე დეფექტის აღმოჩენის ფაქტი;
4. დროულად დააბრუნოს გატანილი წიგნი და სხვა სახის საგანმანათლებლო რესურსი;
5. საბიბლიოთეკო ერთეულის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში დააბრუნოს იდენტური (იმავე დასახელების და გამოცემის წლის შესაბამისი) ერთეული ან ანაზღაუროს ფინანსურად, საბაზრო ფასით.

წიგნების და სხვა სახის საგანმანათლებლო რესურსის გატანა და დაბრუნება:

1. წიგნები და სხვა სახის საგანმანათლებლო რესურსი, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი წიგნებით პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს/პერსონალს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო დარბაზში ან გადაიღოს მისთვის საჭირო ადგილები;
2. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს/პერსონალს შეუძლია ბიბლიოთეკიდან გაიტანოს წიგნები და სხვა სახის საგანმანათლებლო რესურსი, რომლებიც ბიბლიოთეკაში მოიპოვება რამდენიმე ეგზემპლარის სახით;
3. ბიბლიოთეკიდან წიგნი ან სხვა სახის საგანმანათლებლო რესურსი გაიცემა ერთი კვირის ვადით;
4. გატანილი მასალის ან წიგნის დაბრუნების ვადის დადგომისთანავე, მკითხველი ვალდებულია წიგნი დაუბრუნოს ბიბლიოთეკას;
5. მკითხველის მიერ გატანილი მასალის ან წიგნით სარგებლობის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ვადის გაგრძელება (არაუმეტეს ერთი კვირის ვადით, რაც აღინიშნება მკითხველის ბარათში) იმ შემთხვევაში, თუ კი წიგნზე არ შემოსულა სხვა განაცხადი;
6. წიგნის და სხვა სახის საგანმანათლებლო რესურსის დროულად არ დაბრუნების შემთხვევაში, მკითხველს მიეცემა გაფრთხილება.

ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა:

1. აუდიო და ვიდეო მასალები;
2. ენციკლოპედიები;
3. ლექსიკონები.